ჭეშმარიტად ალლაჰმა შთამაგონა, რომ არ დაეყენინა ვინმეს თავი სხვაზე მაღლა და არ დაეჩაგრა სხვა

გადმოცემულია 'იად იბნ ჰიმაარისგან ძმა ბანუ მუჯაშისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთ დღეს ჩვენთან დადგა მქადაგებლად და თქვა: შემდეგ მან ჰადისის გაგრძელება გადმოსცა, რომელშიც ნათქვამია: «ჭეშმარიტად ალლაჰმა შთამაგონა, რომ არ დაეყენინა ვინმეს თავი სხვაზე მაღლა და არ დაეჩაგრა სხვა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი საჰაბების მქადაგებლად დადგა, და თქვა: ალლაჰმა ზეშთაგონება გაუგზავნა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ადამიანებმა ერთმანეთის მიმართ თავმდაბლობა უნდა შეინარჩუნონ. ეს გამოიხატება მეორეს მიმართ მოკრძალებით, რბილი ხასიათითა და კეთილგანწყობით მოქცევაში, არავინ არ უნდა ისარგებლოს თავისი გვარით, სიმდიდრით ან სხვა უპირატესობებით, რათა თავი სხვებზე აღმატებულად წარმოაჩინოს, ასევე, არავინ არ უნდა იყოს უსამართლო ან მოძალადე სხვა ადამიანის მიმართ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5497